განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი

16/04/2024

MES 7 24 0000436094

ბრძანება

თბილისი

სახელმძღვანელოს შეფასების შინაარსობრივი და ტექნიკური კრიტერიუმების განსაზღვრის თაობაზე

,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 26 დეკემბრის N524 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების, ,,სახელმძღვანელოს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმების წესისა და ვადების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 12 აპრილის N425389 ბრძანებით დამტკიცებული ,,სახელმძღვანელოს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმების წესისა და ვადების" მე-2 მუხლის ,,ზ" ქვეპუნქტის, „სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების მიზნით ინიციატივების/პროექტების წარმოდგენის წესისა და ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 იანვრის N28880 ბრძანების საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2024 წლის 10 აპრილის N414653 და 2024 წლის 12 აპრილის N421610 სამსახურებრივი ბარათების გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. სახელმძღვანელოს შინაარსობრივი და ტექნიკური მახასიათებლების შესაფასებლად, განისაზღვროს:
ა) ,,სახელმძღვანელოს შეფასების შინაარსობრივი კრიტერიუმები" ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
ბ) ,,სახელმძღვანელოს შეფასების ტექნიკური კრიტერიუმები" ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა
და ახალგაზრდობის მინისტრი

გიორგი ამილახვარი